ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9723229001
თარიღი:17/08/2023

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა N-08

დ. ლენტეხი. 16/08/ 2023წ

მიმდინარე წლის 16 აგვისტოს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. ბიუროს სხდომას ესწრებოდა ბიუროს 14(ცამეტი) წევრი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე მარადი ლიპარტელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი ნათუნა ლიპარტელიანი, საფინანსო - საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გულივერ გაზდელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ დემური ლიპარტელიანი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსის მ/შ ნაირა ლიპარტელიანი და დამხმარე სპეციალისტი ანა მუკბანიანი.

ბიუროს სახდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. დაბა ლენტეხში სვანეთისა და აღმაშენებლის ქუჩებზე სანიაღვრე არხებზე რკინის ცხაურების მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე;

/მომხს. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გ.ონიანი /

2. ჭავჭავაძის ქუჩაზე ტერიტორიის მოსწორება და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე;

/მომხს. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გ.ონიანი /

3. სოფელ ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის მოწყობა ბეტონის საფარით და სოფელ ჩუკულში (ნაკიშერის უბანში) გზის და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე;

/მომხს. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გ.ონიანი

4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2023 წელს ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;

/მომხს.მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი /ხ.ლიპარტელიანი/

5.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ექვსი თვის ანგარიშის შესახებ;

/მომხს. საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გ.გაზდელიანი/

6.სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 14

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ბიუროს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: მერის პირველმა მოადგილემ მარადი ლიპარტელიანმა წარადგინა სვანეთის და აღმაშენებლის ქუჩებზე სახიაღვრე არხებზე რკინის ცხაურების მოწყობის პროექტი, აღნიშნა, რომ ეს პროექტი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე იქნა განხილული და შესაბამისად წარმოვადგინეთ ამ პროექტის მოწონების საკითხი, განხილვისას გამოიკვეთა რიგი ხარვეზები, გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ საჭიროა პროექტში კორექტირების შეტანა - გაკეთდეს სახიაღვრე არხი და ყველა ლოკაციაზე ჩატარდეს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსახლეობის პრობლემა იქნეს მოგვარებული. მარადი ლიპარტელიანმა მოახსენა, რომ ვიღებ პასუხისმგებლობას ამ პროექტის მოწონების შემთხვევაში მოხდება პროექტის კორექტირება და ყველა ხარვეზის გამოსწორება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს წარუდგინა აღნიშნული საკითხი დასამტკიცებლად.

ღია კენჭისყრით მომხრე --14;

წინააღმდეგი -0.

2. მოისმინეს: მერის პირველმა მოადგილემ სხდომის წევრებს წარუდგინა მეორე პროექტი-ჭავჭავაძის ქუჩის ტერიტორიის მოსწორება და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების პროექტის მოწონება და აღნიშნა, ამ ტერიტორიაზე არის ხელოვნურად მოწყობილი აუზი, რომელიც როგორც პროექტშია მითითებული უნდა შეივსოს და მოსწორდეს ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე ასევე მთლიან სიგრძეზე უნდა მოეწყოს სანიაღვრე არხი, რათა წყალდიდობის დროს მოსახლეობა იყოს დაცული.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა გამოთქვა აზრი, რომ ამ ტერიტორიის გარკვეული ნაწილი შედის იქ მცხოვრები ოჯახების კერძო საკუთრებაში და ეს ოჯახები თუ თანადაფინანსებით მოაგვარებენ მათი ტერიტორიის მოსწორებას , პროექტისთვის გათვალისწინებული თანხა გამოხთავისუფლდება და მოხდება არხის გაგრძელება და დანარჩენი ოჯახების პრობლემაც მოგვარდება.

დეპუტატებმა დაუსვეს შეკითხვები, მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას და საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი

ღია კენჭისყრით მომხრე -14;

წინააღმდეგი-0.

3.მოისმინეს: მარადი ლიპარტელიანმა წარუდგინა სხდომის წევრებს პროექტი-სოფ.ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის მოწყობა ბეტონის საფარით და სოფ. ჩუკულში გზის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების მოწონებაზე. აღნიშნა, რომ პროექტი უნდა გაკეთებულ იყო ნაწილობრივ , გარკვეულ მონაკვეთზე , მაგრამ პროექტორმა გააკეთა მთელ ტერიტორიაზე , მაგრამ არ მოხდება პროექტის მთლიანად დაფინანსება და შესრულება. დაფინანსება და შესრულება მოხდება ეტაპობრივად ლიმიტის ფარგლებში.

მოისმინეს: ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ პრიორიტეტები რაც ჩემი თემის მოსახლეობასთან შეთანხმებით იქნა მიღებული არც ერთი არ არის გათვალისწინებული, შეჩერებულია ძველი პროექტები, ფაქტიურად არც სრულდება. განსაკუთრებით დიდ პრობლემას წარმოადგენს ხერიის ხიდი.

იგივე გულისტკივილი გამოთქვა ყველა დეპუტატმა, რომ მათ სადეპუტატო თემებში შემავალი სოფლების პრიორიტეტები არ არის გათვალისწინებული.

მოისმინეს: მარადი ლიპარტელიანმა მოახსენა, რომ რაც შეეხება ხერიის ხიდს ადგილობრივად ვერ მოხერხდება უსაფრთხოების ზომების დაცვა და შესაბამისად მერიაც ვერ იპასუხისმგებლებს ამ ხიდის გაკეთებას , მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის საჭიროა ხიდი გაკეთდეს კაპიტალურად.

მოისმინეს: დემური ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ პროექტებთან დაკავშირებით დაფინანსება მოდის კვარტლურად, პირველი კვარტალში მოსული ფინანსებით დაფინანსდა ძველი პროექტები, ახლა მოსულია მეორე კვარტლის დაფინანსება და გაგზავნილია შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა და ვიმედოვნებ ეტაპობრივად დაფინანსდება და შესრულდება ინფრასტრუქტურული

სამუშაოები თითოეულ თემში .

მოისმინეს: ირაკლი ქურასბედიანმა გამოთქვა გულისტკივილი და შენიშვნა მისცა ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურს, რომ მაჟორიტარების გვერდის ავლით არ უნდა ხდებოდეს პროექტების შერჩევა. ჩვენ, როგორც ხალხის არჩეულები უნდა ვითვალისწინებდეთ მოსახლეობის ინტერესებს, ჩვენს საარჩევნო ტერიტორიაზე ჩვენ უფრო ვიცით მოსახლეობის პრობლემები ჩვენი თხოვნაა გაითვალისწინოთ მომავალში ჩვენი სრული ჩართულობა პროექტების შერჩევაში.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა მიმართვა სხდომის წევრებს, რომ რადგან ბატონი მარადი საკუთარ თავზე იღებს მთელ პასუხისმგებლობას აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით კენჭი ვუყაროთ ამ პროექტის მოწონების საკითხს.

მომხრე --13;

წინააღმდეგი-1.

აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა, მოხდეს ყველა თემში პროექტების მიმდინარეობის გაკონტროლება, რომ თანაბრად იყოს გათვალისწინებული და არც ერთი თემი არ დაზარალდეს.

4.მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების ხელმძღვანელმა გულივერ გაზდელიანმა წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ექვსი თვის ანგარიში. აღნიშნა, 2023 წლის ექვსი თვის შესრულება შეადგენს 34%, აქედან შესრულების ყველაზე დაბალი პროცენტი არის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე- 19% , შემოსავლების მაღალი მაჩვენებლით შესრულებულია ქონების გადასახადი 166%.

დეპუტატებმა დაუსვეს შეკითხვები, მომხსენებელმა ყველა კითხვას ამომწურავად უპასუხა.

ბიუროს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა კენჭისყრაზე დააყენა საფინანსო საბიუჯეტო განყოფილების უფროსის მიერ წარმოდგენილი ანგარიში

ხმათა უმრავლესობით: მომხრე -14 და წინააღმდეგი -0

5.მოისმინეს: მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუნა ლიპარტელიანმა წარადგინა ანგარიში 2023 წელს ექვს გაწეული მუშობის შესახებ და აღნიშნა,რომ გასულ წელთან შედარებით ბიუჯეტი გაიზარდა 40 000 (ორმოცი ათასი) ლარით, დაფინანსდა 510 ბენეფიციარი, გეგმიურ და სასწრაფო ოპერაციებზე დაიხარჯა 27 330 ლარი, ერთჯერადი დახმარება მიიღო მრავალშვილიანმა ოჯახებმა,მარტოხელა დედამ, ყოველთვიურად 100 ლარით ფინანსდებიან დიალიზზე დამოკიდებული ბენეფიციარები. სოციალური სამსახური თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციასთან , ორგანიზაციის საქმიანობა მშშ პირებზეა გათვლილი, საჭიროა მუნიციპალიტეტში შეიქმნას სარეაბილიტაციო ცენტრი , სადაც რეაბილიტაციას გაივლიან მშშ პირები.რაც შეეხება სარეზერვო ფონდს არ არის საკმარისი თანხა, უკვე ამოწურულია და ვერ ვახერხებთ გაჭირვებულების დახმარებას, ასევე ონკოლოგიურ ავადმყოფებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ლიმიტი, რომ საჭიროების მიხედვით მოიხმარონ.

ბიუროს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა თხოვნით მიმართა სამსახურის უფროსს ხათუნა ლიპარტელიანს საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიასთან ერთად განიხილონ თითოეული მუხლი და რომელ მუხლშიც საჭირო იქნება თანხის დამატება აუცილებლად გავითვალისწინებთ მომავალი წლის ბიუჯეტში , რადგან ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე ყველაზე მნიშვნელოვანია.

ბიუროს თავმჯდომარემ- სოციალური სამსახურის ანგარიში დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით - მომხრე -14 და წინააღმდეგი -0.

ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით ბიუროს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა წარმოადგინა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

4. დაბა ლენტეხში სვანეთისა და აღმაშენებლის ქუჩებზე სანიაღვრე არხებზე რკინის ცხაურების მოწყობის პროექტის მოწონების თაობაზე;

/მომხს. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გ.ონიანი /

5. ჭავჭავაძის ქუჩაზე ტერიტორიის მოსწორება და სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე;

/მომხს. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გ.ონიანი /

6. სოფელ ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის მოწყობა ბეტონის საფარით და სიფელ ჩუკულში (ნაკიშერის უბანში) გზის და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების პროექტის მოწონების თაობაზე;

/მომხს. ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გ.ონიანი

4.ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2023 წელს ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ;

/მომხს.მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი /ხ.ლიპარტელიანი/

5.ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ექვსი თვის ანგარიშის შესახებ;

/მომხს. საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გ.გაზდელიანი/

6.სხვადასხვა.

შენიშვნა მორიგი სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით: მომხრე - 14 და წინააღმდეგი -0.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა ბიუროს წევრებს მიაწოდა წინადადება, მორიგი სხდომა გაიმართოს 16 აგვისტოს დღის 12 საათზე.

სხვა წინადადება არ ყოფილა:

გადაწყვიტეს: ლკენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა ჩატარდეს 16 აგვისტოს 12 საათზე.

ბიუროს სხდომა დამთავრდა 12 საათსა და 45 წუთზე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი